საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726021001
თარიღი:21/01/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 01

დ. ლენტეხი. 15 იანვარი.2026წ

მიმდინარე წლის 15 იანვარს დღის 11 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 6(ექვსი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ნანარის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ხელედის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ჩიხარეშის სასოფლო კლუბის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   //მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ს/კ 234065560 ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურა 2022''-სთვის ს/კ434068527 იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. ინფორმაციის მოსმენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექისგან გზების გაწმენდითი სამუშაოების შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი/

6. ,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის გოგი ონიანის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

8. გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი/

9. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ქურასბედიანმა - ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მერიიდან შემოვიდა პროექტი - **,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. შესაბამისად ეს საკითხი დაემატება დღის წესრიგს.**

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა - დაემატოს საკითხი 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის განაწილების თაობაზე.

სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

4. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ნანარის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ხელედის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ჩიხარეშის სასოფლო კლუბის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

//მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ს/კ 234065560 ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურა 2022''-სთვის ს/კ434068527 იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. **ინფორმაციის მოსმენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექისგან გზების გაწმენდითი სამუშაოების შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი/

6. **,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

7. **,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

8. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის გოგი ონიანის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.**

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

9. **გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების თაობაზე.**

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი/

10. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.**

11. **2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის განაწილების თაობაზე.**

1.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხები:

1. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ნანარის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

2. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა**

გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ხელედის კულტურის სახლის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

3. **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 სოფელ ჩიხარეშის სასოფლო კლუბის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის'' კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის კულტურის სახლის შენობის ს/კ 87.03.25.403 , **სოფელ ნანარის კულტურის სახლის შენობის ს/კ 434066128, სოფელ ჩიხარეშის სასოფლო კლუბის/ კ 434066128** უსასყიდლო უზუფრუქტის სახით სარგებლობაში გადაცემა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ს/კ 434066128 არსებობის ვადით.

საფუძველი: ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბიქტორ გაზდელიანის 2025 წლის 22-დეკემბრის N-7 მომართვა.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომრემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭიოსყრის შედეგით:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს წარმოდგენილ წინადადებაზე.

2. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ს/კ 234065560 ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურა 2022''-სთვის ს/ კ434068527 იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ქურასბედიანმა - ი იანვრის თვეში მოსული უსვი ნალექის გამო მუნიციპალიტეტში შეიქმნა სერიოზული პრობლემები. ამ პერიოდში სხვა ტექნიკასთან ერთად მაქსიმალურად იმუშავა შპს ,,კახურა 2022''-მ. ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა გავუგრძელოთ ქირავნობის ხელშეკრულება.

სხვა დეპუტატებიც დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს შპს ,,კახურა 2022''-სთვის ს/კ434068527 იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა ბენდელიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია - **ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექისგან გზების გაწმენდითი სამუშაოების** თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მოვიდა საკმაოდ დიდი ნალექი, იყო პრობლემები, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელობის თავდაუზოგავი მონდომებით დროულად მოხდა ყველა სოფელში გზის გახსნა და შუქის აღდგენა.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა - რამდენი ტექნიკა მუშაობდა სულ?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემსრულებელს ჰყავდა 6(ექვსი) ტექნიკა და სამი ერთეულით დაგვეხმარა საგზეო.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა - თოვლის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდა წარმატებით და ნამდვილად მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

4.მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკის განვითარების სამსახურში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს მინიჭებული აქვთ სამი კატეგორია. ამათგან ერთი არი მესამე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, რომელიც თავის ფუნქციას ასრულებს ძალიან კარგად და გადავწყვიტეთ შეეცვალოს კატეგორია და მიენიჭოს მესამე რანგის მეორე კატეგორია.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N-29 დადგენილებაში.

5.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ .**

მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოველწლიურად იანვრის თვეში ვამტკიცებთ ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესს. ამჟამად გვქონდა მომზადებული მცირედი ცვლილება და აისახება ეს ცვლილებაც.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა: გასულ წელთან შედარებით რამდენით არის მომატებული სოციალური დახმარების მუხლში გათვალისწინებული თანხა?

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს თანხა გაიზარდა 60000ლარით.

მურმან ტვილდიანი : რამდენია დიალიზზე დამოკიდებული ბენეფიციარი?

პასუხად აღინიშნა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში გვყავს დიალიზზე დამოკიდებულია 8 ბენეფიციარი.

გამზა ლიპარტელიანი: რატომ არ უნდა იყოს ჩვენს მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლად დიალიზის მკურნალობის ცენტრი.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს სერვისი არ იყო ცაგერის მუნიციპალიტეტშიც და ორივე მუნიციპალიტეტის ბენეფიციარების რაოდენობის გათვალისწინებით გადაწყდა ცაგერის მუნიც-ში, რაც დიდი შეღავათია ბენეფიციარებისათვის.

კითხვა დასვა: საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა - ბიუჯეტის რამდენ პროცენტს უნდა შეადგენდეს სოციალური დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხა.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროცენტულად ეს ციფრი უნდა იყოს ბიუჯეტის 6%.

დაისვა სხვა შეკითხვებიც.

მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი.

6.მოისმინეს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 154-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N-97-97253579ბ განკარგულების საფუძველზე ცნობილ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის გოგი ონიანის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლედ თემური ლიპარტელიანი.(პარტიულ სიაში N-26) .

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია .

7.მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების და დამისამართების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 30 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა წერილი N-297620. წერილის თანახმად სოფ. ხელედში მცხოვრები ლადიკო ჩანქსელიანი ითხოვს ნომრის მინიჭებას უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით- 87.03.27.047.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისიამ შეისწავლა საკითხი და მოამზადა განკარგულება.

> განკარგულების პროექტის თანახმად **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელედის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფ. ხელედში არსებული N-8 ქუჩის არეალის(სიგრძე) გაგრძელდეს და მოიცვას ე.წ. დასახლება ,,ძუღვარეში“.**
>
> **განკარგულების პროექტის დამტკიცების შემთხვევაში განკარგულება გადაეგზავნება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.**
>
> **შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.**
>
> **განკარგულების პროექტის დამტკიცების მმიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:**
>
> **მომხრე -17**
>
> **წინააღმდეგი -0**
>
> **გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი გეოგრაფიული ობიექტის დამისამართების თაობაზე.**
>
> **7.მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარტის მიერ მომზადებულია 206 წლის სამუშაო გეგმა. ამ გეგმაში გათვალისწინებულია საკითხები საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებული სამუშაო გეგმების მიხედვით.**
>
> **შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.**
>
> **საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:**
>
> **მომხრე -17**
>
> **წინააღმდეგი -0**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმა .

სხდომის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა აღნიშნა, რომ მომზადებულია განკარგულება- 2026 წელს თანამდებობის პირებზე საწვავის განაწილების თაობაზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -17

მოინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება საწვავის განაწილებაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 13 საათზე.

5.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი